სატენდერო მოწვევა

თარიღი: 5 ნოემბერი, 2025

სესხის ნომერი და სახელწოდება: სესხი N 4643-GEO: ბათუმი-სარფის გზის პროექტი

კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება: BSRP/CW/OCB-01: ბათუმი - სარფის გზის მშენებლობა

სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა: 22 დეკემბერი 2025, 16:00 (თბილისის დროით)

1. საქართველოს მთავრობამ აზიის განვითარების ბანკისაგან მიიღო დაფინანსება **ბათუმი-სარფის გზის პროექტისათვის.** აღნიშნული დაფინანსების ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთქმული კონტრაქტის ფარგლებში გადახდების განსახორციელებლად. ტენდერში მონაწილების მიღება შეუძლია ყველა პრეტენდენტს, გარდა იმ პრეტენდენტებისა, რომლებზეც ვრცელდება აზიის განვითარების ბანკის შეზღუდვები აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყნების შესაბამისად.

2. **საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი** („დამკვეთი“) გიწვევთ, წარმოადგინოთ დალუქული სატენდერო წინადადება **ბათუმი-სარფის გზის მშენებლობისათვის („სამუშაოები“).**

   აღნიშნული კონტრაქტი მოიცავს ახალი 2-ზოლიანი 11 კმ სიგრძის გზის მშენებლობას რაც თავის მხრივ მოიცავს 7.6 კმ სიგრძის გვირაბის, 3 ხიდის, აქედან 1.47 კმ სიგრძის ვიადუკისა და 500 მ სიგრძის ზღვის ნაპირის გასამაგრებელი ნაგებობის მშენებლობას.

3. **საერთაშორისო ტენდერი** ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთ-ეტაპიანი ერთ-კონვერტიანი სატენდერო პროცედურის თანახმად პრეკვალიფიკაციის გარეშე და მასში მონაწილების მიღება შეუძლიათ პრეტენდენტებს აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყნებიდან, როგორც ასახულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

4. **დავალების ხანგრძლივობა:** 1440 დღე + 1080 დღე დეფექტების შეტყობინების პერიოდი

5. უფლებამოსილი მონაწილეები, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

   - **მიმდინარე სასამართლო დავა**: ყველა მიმდინარე სასამართლო დავა, არბიტრაჟი და მოვლენა რომელიც გავლენას ახდენს მონაწილის ლიკვიდურობასა და წმინდა

კაპიტალზე, ჩაითვლება მონაწილისათვის უარყოფითად გადაწყვეტილად და ზემოხსენებული დავების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მონაწილის წმინდა კაპიტალის ორმოცდაათ (50) პროცენტს, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს სხვაობას მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის.

- **ფინანსური მდგომარეობა:** მონაწილის წმინდა კაპიტალი მინიმუმ, ბოლო წლისათვის უნდა იყოს დადებითი, რაც გამოანგარიშებული იქნება სხვაობით მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის. მონაწილის ყოველწლიური საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა ბოლო სამი (3) წლის განმავლობაში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 125,000,000.00 აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს. მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მას გააჩნია ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსები არანაკლებ 20,800,000.00 აშშ დოლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით მოცემული პროექტისა და მიმდინარე საკონტრაქტო ვალდებულებებისათვის
- **მშენებლობის გამოცდილება:** ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა ერთ (1) კონტრაქტში როგორც ძირითადი კონტრაქტორი, ერთობლივი საწარმოს წევრი ან ქვე-კონსულტანტი, ღირებულებით არანაკლებ 233,000,000.00 აშშ დოლარისა ან ორ (2) კონტრაქტში, კომბინირებული ღირებულებით არანაკლებ 233,000,000.00 აშშ დოლარისა, რომელთაგან ერთი კონტრაქტის ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 163,100,000.00 აშშ დოლარს რომლებიც წარმატებით დასრულებულია ან ძირითადად დასრულებულია და რომელებიც მოცემულ შემოთავაზებულ სამუშაოთა მსგავსია.

  მონაწილის მიერ განხორციელებული მსგავსი სამუშაო შეფასდება შემდეგზე დაყრდნობით: ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა, რომელიც მოიცავს გვირაბებსა და ხიდებს.

- მშენებლობის გამოცდილება შემდეგ ძირითად ღონისძიებებში:

  - არანაკლებ 17,000 მ2 ფართობის სატრანსპორტო (საგზაო და/ან სარკინიგზო) ხიდის მალის ნაშენის მშენებლობა სამი წლის განმავლობაში მიყოლებით, ბოლო 5 წლის პერიოდში.
  - საგზაო გვირაბის მშენებლობა, რომლის სიგრძე აღემატება 2კმ-ს. კონტრაქტი არანაკლებ 90% ით უნდა იყოს დასრულებული ბოლო 5 წლის განმავლობაში.
  - ნებისმიერი დიამეტრის საგზაო და/ან სარკინიგზო გვირაბების მშენებლობა გვირაბის კომბინირებული სიგრძით არანაკლებ 10 კმ-სა. კონტრაქტი არანაკლებ 90% ით უნდა იყოს დასრულებული ბოლო 7 წლის განმავლობაში.
  - ელექტრომექანიკური და უსაფრთხოების სისტემების ინსტალაცია საგზაო გვირაბებში:
    - რომელთა კობინირებული სიგრძე შეადგენს არანაკლებ 5 კმ-ს.
    - რომელთაც გააჩნიათ რევერსული სავენტილაციო სისტემა, ხოლო გვირაბის სიგრძე შეადგენს მინიმუმ 4კმ-ს.

  კონტრაქტები არანაკლებ 90% ით უნდა იყოს დასრულებული ბოლო 7 წლის განმავლობაში.

6. საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია იხილეთ სატენდერო დოკუმენტში.
7. დამატებითი ინფორმაციისა და სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, გთხოვთ მოგვმართოთ:

ქალბატონი სალომე წურწუმია
მისამართი: ალ. ყაზბეგის 12,. 0160 თბილსი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 31 30 76
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

8. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად ინგლისურ ენაზე, მონაწილეებმა უნდა განახორციელონ შემდეგი: ზემოთ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე წარმოადგინონ წერილობითი მოთხოვნა სატენდერო დოკუმენტაცის მისაღებად **BSRP/CW/OCB-01: ბათუმი-სარფის გზის მონაკვეთის მშენებლობა.**

9. მონაწილეები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ ელექტრონული ფორმით, უფასოდ, ელ-ფოსტის საშუალებით. დამკვეთი არ იღებს პასუხისმგებლობას იმ შემთხვევისათვის, თუ ადრესატი ვერ მიიღებს დოკუმენტაციას.

10. გთხოვთ თქვენი სატენდერო წინადადება წარმოადგინოთ:

- შემდეგ მისამართზე;

  საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
  ალ. ყაზბეგის 12
  სართული/ოთახის ნომერი: მე-4 სართული, ოთახი 413, კანცელარია

- **არაუგვიანეს 2025 წლის 22 დეკემბრისა**
- სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიასთან ერთად.

სატენდერო წინადადებები საჯაროდ გაიხსნება მათი წარმოდგენის ვადის გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
მისამართი: ალ. ყაზბეგის 12,. თბილისი, საქართველო
სართული/ოთახის ნომერი: მე-2 სართული, საკონფერენციო დარბაზი

აღნიშნული ტექსტი წარმოადგენს ინგლისურენოვანი სატენდერო მოწვევის არა-ოფიციალურ თარგმანს. შესაბამისად, უზუსტობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება სატენდერო მოწვევის ინგლისურ ვერსიას.